ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2026 წლის II კვარტლის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 9 499,2 ათ. ლარი, ნაშთი 2026 წლის 1 იანვრისათვის იყო 2 914,3 ათ. ლარი საიდანაც ექვს თვეში გაიწერა 1 942,4 ათ. ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის II კვარტლის გეგმამ შეადგინა 11 441,6 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2026 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 9 499,2 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 7 117,2 ათ. ლარი (75%), აქედან: ქონების გადასახადის გეგმა 918,0 ათ. ლარი - ფაქტი 980,1 ათ. ლარი (107%); დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა 5 107,0 ათ. ლარი - ფაქტი 4 641,0 ათ. ლარი (91%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 3 168,7 ათ. ლარი - ფაქტი 1 116,6 ათ. ლარი (35%); სხვა შემოსავლების გეგმამ შეადგინა 285,5 ათ. ლარი, ხოლო ფაქტიურად შემოვიდა 183,8 ათ. ლარი (64%), აქედან: პროცენტის გეგმა 75,0 ათ. ლარი - ფაქტი 39,6 ათ. ლარი (53%); რენტას გეგმა 110,0 ათ. ლარი - ფაქტი 81,7 ათ. ლარი (74%); სანებართვო მოსაკრებლების გეგმა შეადგენდა 30,0 ათ. ლარს ფაქტი 32,5 ათ. ლარი (108%); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 10,5 ათ. ლარი - ფაქტი 10,9 ათ. ლარი (104%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,8 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 20,0 ათ. ლარი - ფაქტი 13,8 ათ. ლარი (69%); ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე დაიგეგმა 40,0 ათ. ლარი, შემოვიდა 4,5 ათ. ლარი (11%); არაფინანსური აქტივების კლების გეგმა 20,0 ათ. ლარი - ფაქტიურად შემოვიდა 195.7 ათ. ლარი (979%);

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის II კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 11 441,6 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 6 917,9 ათ. ლარი (60%) აქედან:

მმართველობა და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2 606,6 ათ. ლარი - ფაქტი 2 279,9 ათ. ლარი (87%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 645,7 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 625,5 ათ. ლარი (97%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 1 922,4 ათ. ლარი - ფაქტი 1 648,7 ათ. ლარი (86%); სარეზერვო ფონდის გეგმა 32,7 ათ. ლარი; წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის გეგმა 0,1 ათ. ლარი; ასოცირებული საწევრო გადასახადის გეგმა 5,7 ათ. ლარი - ფაქტი 5.7 ათ. ლარი (100%).

ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა 5 701,6 ათ. ლარი - ფაქტი 2 238,6 ათ. ლარი (39%). აქედან:

- გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 2 069,4 ათ. ლარი - ფაქტი 245,9ათ. ლარი (12%);
- გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 275,7 ათ. ლარი - ფაქტი 197,2 ათ. ლარი (72%);
- საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების გეგმა 8,4 ათ. ლარი - ფაქტი 8,4 ათ. ლარი (100%);
- წყლის სისტემის რეაბილიტაციის გეგმა 113,0 ათ. ლარი - ფაქტი 63,9 ათ. ლარი (57%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის დაფინანსების გეგმა 136,1 ათ. ლარი - ფაქტი 121,2 ათ. ლარი (89);
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 41,0 ათ. ლარი - ფაქტი 37,5 ათ. ლარი (91%);
- გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯების გეგმა 180,6 ათ. ლარი - ფაქტი 177,8 ათ. ლარი (98%);
- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში გეგმა 10,6 ათ. ლარი - ფაქტი 4,6 ათ. ლარი (43%);
- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაციის გეგმა 62,0 ათ. ლარი - ფაქტი 21,2 ათ. ლარი (34%);
- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაციის გეგმა 83,8 ათ. ლარი - ფაქტი 70,1 ათ. ლარი (84%);
- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაციის გეგმა 1 672,2 ათ. ლარი - ფაქტი 797,8ათ. ლარი (48%);
- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვის გეგმა 421,0 ათ. ლარი - ფაქტი 133,8 ათ. ლარი (32%);

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის გეგმა 171,0 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა.

- სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გეგმა 157,3 ათ. ლარი - ფაქტი 113,8 ათ. ლარი (72%);

- მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების გეგმა 266,6 ათ. ლარი - ფაქტი 242,6 ათ. ლარი (91%);

- სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის გეგმა 32,8 ათ. ლარი - ფაქტი 2,8 ათ. ლარი (9%);

დასუფთავება და გარემოს დაცვის გეგმა შეადგენდა შესაბამის პერიოდში 492,0 ათ. ლარს, ფაქტი 456,7 ათ. ლარი (93%). აქედან:

- დასუფთავება და ნარჩენების გატანის გეგმა 387,0 ათ. ლარი - ფაქტი 377,1 ათ. ლარი (97%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის გეგმა 102,0 ათ. ლარი, ფაქტი 79,6 ათ. ლარი (78%);

- უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებების გეგმა 3,0 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა.

განათლების ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 1 026,5 ათ. ლარი - ფაქტი 653,3 ათ. ლარი (64%);

- სკოლამდელი განათლება მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფინანსების გეგმა 474,4 ათ. ლარი - ფაქტი 372,9 ათ. ლარი (79%);

- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის გეგმა 98,0 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;

- განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობის გეგმა 297,0 ათ. ლარი - ფაქტი 132,5 ათ. ლარი (45%);

- საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის გეგმა 142,8 ათ. ლარი - ფაქტი 134,3 ათ. ლარი (94%);

- წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემის ღონისძიებების გეგმა 14,3 ათ. ლარი - ფაქტი 13,6 ათ. ლარი (95%);

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 1 311,1 ათ. ლარი - ფაქტი 1 052,8 ათ. ლარი (80%). აქედან:

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსის გეგმა 142,0 ათ. ლარი - ფაქტი 134,2 ათ. ლარი (95%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონის გეგმა 103,0 ათ. ლარი - ფაქტი 92,7 ათ. ლარი (90%);

- რაგბის ჯგუფის დაფინანსების გეგმა 40,0 ათ. ლარი, - ფაქტი 37,5 ათ. ლარი (94%);

- წარმატებული სპორტსმენების დახმარების გეგმა 22,7 ათ. ლარი - ფაქტი 18,0 ათ. ლარი (79%);

- კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში გეგმა 70,0 ათ. ლარი, - ფაქტი 13,0 ათ. ლარი (19%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საჭიდაო სკოლის გეგმა 172,0 ათ. ლარი - ფაქტი 145,2 ათ,. ლარი (84%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლის გეგმა 56,0 ათ. ლარი - ფაქტი 45,7 ათ. ლარი (82%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის გეგმა 56,0 ათ. ლარი - ფაქტი 45,1 ათ. ლარი (81%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის ცენტრის დაფინანსების გეგმა 314,2 ათ. ლარი - ფაქტი 307,1 ათ. ლარი (98%);

- მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსების გეგმა 37,0 ათ. ლარი - ფაქტი 36,6 ათ. ლარი (99%);

- ბიბლიოთეკის დაფინანსების გეგმა 90,0 ათ. ლარი - ფაქტი 79,4 ათ. ლარი (88%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის დაფინანსების გეგმა 50,0 ათ. ლარი - ფაქტი 35,3 ათ. ლარი (71%);

- კულტურული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 17,2 ათ. ლარი, ფაქტი 10,9 ათ. ლარი (63%);

- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის გეგმა 70,0 ათ. ლარი ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;

- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსების გეგმა 66,0 ათ. ლარი - ფაქტი 52,2 ათ. ლარი (79%);

- ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა გეგმა 5,0 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 303,8 ათ. ლარი - ფაქტი 236,6 ათ. ლარი (78%). აქედან:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსების გეგმა 103,7 ათ. ლარი - ფაქტი 58,8 ათ. ლარი (57%);

- სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 200,1 ათ. ლარი - ფაქტი 177,8 ათ. ლარი (89%). აქედან:

- ავადმყოფთა სოციალური დაცვის გეგმა 92,0 ათ. ლარი - ფაქტი 91,8 ათ. ლარი (100%).

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის გეგმა 24,5 ათ. ლარი - ფაქტი 22,4 ათ. ლარი (91%).

- სოციალურად დაუცველი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა, ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებული დახმარების გეგმა 46,0 ათ. ლარი - ფაქტი 35,1 ათ. ლარი (76%).

- ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯის გეგმა 0,3 ათ. ლარი - ფაქტი 0,3 ათ. ლარი (100%);

- სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დახმარების გეგმა 20,0 ათ. ლარი - ფაქტი 15,0 ათ. ლარი (75%);

- 8 მარტის, 9 და 26 მაისის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარების გეგმა 3,4 ათ. ლარი - ფაქტი 2,5 ათ. ლარი (74%).

- სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების გეგმა 1,3 ათ. ლარი - ფაქტი 0,8 ათ. ლარი (62%).

- ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯის გეგმა 5,7 ათ. ლარი - ფაქტი 2,8 ათ. ლარი (49%);

- ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის გეგმა 7,0 ათ. ლარი - ფაქტი 7,0 ათ. ლარი (100%).

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე პერიოდში გაიხარჯა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ღებში მოსახლეობის წყლით მომარაგებისთვის 250 გრძივი მეტრი მილის შესყიდვისა და ტრანსპორტირებისთვის 1,0 ათ. ლარი; სსიპ სიმონ სხირტლაძის სახელობის ქ. ონის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის (საპილოტე პროგრამის „სამხედრო საქმე“ ფარგლებში) 1,6 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შქმერის, ჭიორის, ფარახეთის, გლოლის, ღების, სორის, წედისის, მრავალძალის, ბარისა და ცხმორის მისასვლელი და შიდა გზების გაწმენდა თოვლისა და მეწყრისაგან 12,0 ათ. ლარი; ონის სალოტბარო სკოლის ტრანსპორტირებისთვის 2,0 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ფსორი-ბაჯიხევის გზის რეაბილიტაციისთვის (მოსული უხვი ნალექის შედეგად გააქტიურებული მეწყრული პროცესების დროს) 18,7 ათ. ლარი; საჭიდაო სკოლის სპორტსმენების და მწვრთნელების ტრანსპორტირება ქ. ბათუმში 2,0 ათ. ლარი;

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (01.07.2026წ.) ნაშთი შეადგენდა 3 113,5 ათ. ლარს. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 1 851,9 ათ. ლარს და საკუთარი შემოსავლებიდან 1 261,6 ათ. ლარს.

შემსრულებელი: თინათინ ბროლაშვილი

ნინო მეტრეველი